სამშობლო

შაბათი
9 იანვარი
წელიწადი II.

ფასი. წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 შ. წლიური ხელის მომწერლებს ხელის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე [illegible] განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეული ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

№ 258 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 258

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მიჩვენის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ქ. ქუთაისი უოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ ქ. ქუთაისი

„ს ა მ შ ო ბ ლ ო“-ზე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან., სამი თვით 2 მ. და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ.
რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.

---

4 იანვარს, ნაშუადღევს, ქ. ქუთაისში გარდაიცვალა

იაკობ ივანეს ძე გოკიელოვი,

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ მეგობრებს შვილები მისი: ანნა იაკობის ასული დემუროვისა, როზალია იაკობის ასული ბერიძისა, ივანე, სიმონი, ალექსანდრე, ფრანჩისკე და სტეფანე იაკობის ძენი გოკიელოვები, რძლები, სიძე: ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბერიძე და შვილისშვილები.

მიცვალებულს გამოასვენებენ შაბათს, 9 იანვარს, დილის 9½ საათზე, საკუთარი სახლიდან (პუშკინის ქუჩა № 10) კათოლიკების ეკლესიაში. დასაფლავება მოხდება საფიჩხიის სასაფლაოზე, პანაშვიდები ყოველდღე 7—8, საღამოს 6 საათზე. 2—1—7156

გულდაწყვეტილნი შვილები: იოსები და მარიამ და ძმისწული ლავრენტი ნიკოლოზის ძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველნი დაუვიწყარი და საყვარელი დედის და უკანასკნელი ძვირფასი მამიდის

ეკატერინე იორდანეს ასულის კუხალეიშვილის

მოულოდნელ გარდაცვალებას 6 იანვარს ქუთაისში.

მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან (მესამე ალექსანდროვის ქუჩა) კვირას, 10 იანვარს, ნაშუადღევის სამ საათზე და დაკრძალავენ ოლასკურის სასაფლაოზე.

პანაშვიდები ყოველ დღე დილით 9 და საღამოს 4 საათზე. 1-1-71

სამშაბათს, 12 იანვარს 1916 წ.

საზოგადო საკრებულოს დარბაზში გაიმართება ტრადიციული

სტუდენტთა საღამო

ლატარია-ალეგრით.

ქუთაისის „ქართულ დასის“ მიერ შალვა დადიანის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება „**ქორწილი სოფლად**“, მოზაიკა სიმღერით და ცეკვით. მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მომღერალი ქალი იტალიური ოპერისა **ქარმენ ხოლიარი** (სოპრანო), საიმპერატორო თეატრის მსახიობი **რ. ფ. ბერნარდი** (ბარიტონი), აა ეკალაძე, ნემო, ფილენკო, კოვალენკო და სხ. **სტუდენტთა ხორო** **მ. შარაბიძის** ლოტბარობით შეასრულებს „Gaudeamus“ და სტუდენტთა სხვა სიმღერებს.

ც ე კ ვ ა. დაუკრავს მუსიკა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. საღამოს დიასახლისი — თავჯდომარე საზოგადოების გამგეობის ქლ. ნ. ხურნოვისა.

ექიმი **ა. მ. ასათიანი.** განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

დოკტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტი

ვ. პ. მოსაშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევს 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს.

ჰოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

სტუდენტი ფილოლოგიამზადებს და უსწორებს გაკვეთილებს, ზომიერ ფასათ. ნახვა შეიძლება ყოველ დღე 2—4 ს.

ჰოსპიტლის ქუჩა სახლი ელაზვერდიევის, ბინა ალელოვისა. თ.

მოსკოვის ფირმის განყოფილება

„ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი“

ქუთაისი, გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი.

მხოლოდ სამი დღით

ორშაბათს 11-ს, სამშაბათს 12-ს და ოთხშაბათს 13 იანვარს 1916 წ.

ნიშნავს იაფ ვაჭრობას ნიშნავს

ყოველგვარ სამანუფაქტურო საქონლისა.

4—1

ელექტრო „**რადიუმი**“ თეატრი

ხუთშაბათ 7 იანვარს, 1916 წ. საუცხოვო მხატვრული პროგრამა:

მამები და შვილები

კინოილიუსტრაცია ი. ს. ტურგენევის რომანისა, ქართული დრამატიული დასის ცნობილი მსახიობის **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით. დაწვრილებით პროგრამაში.

ელექტრო „**ამპირი**“ თეატრი

ხუთშაბათიდან 7 იანვრიდან ნაჩვენები იქნება

საშკა სემინარიელი

მეოთხე სერია (რუსი როკამბოლი). ნაწილი I. ციმბირიდან გამოქცევა. 2—პასპორტის ძიება. 3—მე ვარ აფერა უმაღლესი მარკისა. 4—მაძებარი პოლიციის ხელში.

იაფ ფასიანი წარმოდგენა № 12

ქალაქი ქუთაისი. „**ქართული დრამა**“ ქალაქის თეატრი.

შაბათს, 9 იანვარს 1916 წელს წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა

ბედის ტრიალი

5 მოქმედებად.

მონაწილეობს მთელი დასი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **შ. დადიანი.** ადმინისტრაცია „ქართული დრამის“ ამხ-სა.

ანონსი: მზადდება **ვასო აბაშიძის** საგასტროლოთ

„**რაც გინახავს ვეღარ ნახავ**“.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. **ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი.** თ.

ექიმი **ზ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8 — 2 საათამდე და საღამოთი 6 — 8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

კბილის ექიმი **რ. პ. ხვანაძის** ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.

თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

ექიმი **ი. ჩარეძოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ, საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

მასაჟით სამკურნალო **კაბინეტი**

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძისსახლი. თ

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 5 იანვარი. ოფიც. **დასავლეთის ფრონტი.** დვინსკის რაიონში ჩვენმა არტილერიამ მოხერხებულათ ესროლა მტრის კოლონას, რომელიც დასავლეთიდან შლოსბერგისკენ მიდიოდა. გალიციაში, შუა სტრიპასთან, უკუვაქციეთ მტრის მცირე ჯგუფები, რომელნიც ცდილობდენ ჩვენს თხრილებზე მოახლოვებას. ჩერნოვიცის ჩრდილო-აღმოსავლეთით, რარანჩეს რაიონში ხელში ჩავიგდეთ მტრის პოზიცია, რომლის დასაბრუნებლათაც მტერმა ხუთჯერ ზედიზედ მიიტანა თავგანწირული იერიში, მაგრამ ყველა იერიში მოგერიებულ იქნა, მტრისთვის დიდი ზარალით.

შავ ზღვაზე. ჩვენმა ნაღმოსნებმა იერიში მიიტანეს ანატოლიის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სადაც დალეწეს 168 იალქნიანი გემი. მათში 73 დატვირთული იყო სურსათით. 31 კაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ, დანარჩენები, ნაღმოსნების მიახლოებისთანავე, ნაპირებისკენ გაიქცენ.

კავკასიის ფრონტი.

ოსმალთა ჯარის გაფანტულ ცენტრის უკან დევნა ჩვენი კავკასიის ჯარისაგან გრძელდება; მიუხედავათ მტრის მრავალრიცხოვანი ძალისა და ადგილობრივ მძიმე პირობებისა, ჩვენმა ჯარმა პირველ შეტევისათანავე დიდი წარმატება მოიპოვა. პოზიციებიდან უკუქცეულმა მტერმა დიდი ზარალი ნახა, როგორც ადამიანთა მსხვერპლით, ისე სამხარ სურსათის დაკარგვით. ახლახან მოსული ცნობით, არზრუმის გზით ჩვენ ავიღეთ კეპრიკეის პოზიციების სიმაგრეები და ხელში ჩავიგდეთ ბევრი სამხედრო დავლა და ტყვეები. ხელმწიფე იმპერატორმა კავკასიის ძლევა მოსილ ჯარს თვისი უგულწრფელესი მადლობა უძღვნა თავგანწირულ სამსახურისათვის და იმედი გამოსთქვა, რომ ესევე, ბრძოლაში გამოცდილი, ჯარი შესძლებს საქმე ბოლომდის დაიგვირგვინოს.

* * *

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე

ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

მაკენზენი და ბულგარეთი.

სალონიკის საწინააღმდეგო ოპერაციაში მონაწილეობისათვის როგორც ვიცით ბულგარეთი კომპენსაციით საბერძნეთის მაკედონიას მოითხოვს. ამაზე მოლაპარაკება იყო გამართული ბულგარეთსა, ავსტრიასა და გერმანიას შორის. ავსტრო-გერმანიის მხრით გენერალი მაკენზენი მართავს მოლაპარაკებას სოფიაში, მაგრამ ბულგარეთის მთავარ მინისტრმა, რადოსლავოვმა თავი მოიავადმყოფა და მაკენზენს მისალაპარაკებლათ არ ეახლა. ამიტომ საქმე გაჭიანურდა და დღემდე გადაწყვეტით არაფერი ჩანს. ის კი უეჭველია, რომ ბულგარეთს ძალიან უნდა საბერძნეთის მაკედონია ხელთ იგდოს.

გერმანელთა წინააღმდეგ

ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ რუმინეთში ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლებმა 80,000 ვაგონი ხორბალი შეისყიდეს, რომ ამით საშუალება მოესპონ გერმანელებს რუმინიაში ხორბლის შეძენისა. შესყიდული ხორბალი ომის დასრულებამდე რუმინიაში უნდა შეინახონ.

ტოდოროვი და მაკენზენი.

ბულგარეთის მეორე არმიის მთავარ სარდალი გენერალი ტოდოროვი ამბობს, რომ გენერალ მაკენზენთან ერთად უკვე შევიმუშავეთ გეგმა, თუ რა გზით და საშუალებით ვიბრძოლოთ სალონიკის წინააღმდეგ. მართალია, ამბობს ბულგარელი გენერალი, სალონიკში მოკავშირეების გამაგრება დიდ სიძნელეს და საშიშროებას წარმოადგენს ჩვენთვის, მაგრამ ამასთან ისიც ნამდვილია, რომ სალონიკი სტრატეგიული მხრით ბევრით სუსტ პოზიციას წარმოადგენს, ასე რომ მოკავშირეები პირველი შეტაკებისთანავე იძულებული გახდებიან წინათვე გამაგრებულ პოზიციისაკენ დაიხიონ და ამ ხაზს ამოეფარონ.

რა ხდება ჩერნოვიცაში.

ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ ჩერნოვიცის რაიონში ავსტრიელების დამარცხებამ და უკან დახევამ ქ. ჩერნოვიცის მცხოვრებნი ძალიან დააშინა. ავსტრიელებისაგან მიტოვებულ პუნქტებში ახლა რუსები მაგრდებიან. ჩერნოვიციდან ჩინოვნიკები და მცხოვრებნი გარბიან და დორნოვატრაში იხიზნებიან. ტუსაღებიც იქვე გაგზავნეს, რომელთა შორის რუმინელი საზოგადო მოღვაწეებიც არიან; მათ რუსებისადმი თანაგრძნობას აბრალებენ.

ქართული პრესა.

„სახალხო ფურცელი“ მეტად გაუბრაზებია „საქართველო“-„სამშობლოში“ მოთავსებულ წერილებს იმის შესახებ, თუ რა ზიანი მიაყენა „ქართულ ეროვნულ ცხოვრების განვითარებას ჩვენში გამეფებულმა სოციალისტურმა აზროვნებამ „ს. ფ.“ სწერს.

„ყოვლად უბადრუკს შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგალითად, ბ-ნი ს. კ—იას ცდა—დაამტკიცოს, რომ ჩვენი ქვეყნის უბედურება სოციალისტებისაგან წარმოსდგება. არ ვიცი, თვით ბ-ნი ს. კ—ია რასა ფიქრობს, მაგრამ ჩვენ მაინც დღემდის ისე გვქონდა გაგებული და შეგნებული, რომ სოციალისტები სხვაგვარნაც არიან, მაგრამ არც ერთი მათგანი ჯერ ცოტად თუ ბევრად თავის თავის პატივისმცემელ ადამიანს ქვეყნის დამღუპველებად არ გამოუცხადებია. ეს ხდება არა იმიტომ, თითქოს სხვაგან ყველანი სოციალისტებს თანაუგრძნობენ, არამედ იმიტომ, რომ არავის სამასხაროდ არ მიაჩნია ის კეთილშობილური, საკაცობრიო იდეალები, რომლებიც საფუძვლად უდევს სოციალიზმს. შეიძლება ბრძოლა, შეიძლება კამათი, მაგრამ თვით იდეალებს სამასხაროდ არავინ გახდის იმიტომ, რომ არ შეიძლება ადამიანის საუკეთესო მისწრაფებათა და ზრახვათა გამასხარავება.“

აბა ვინ გახდის „სამასხაროდ სოციალიზმის კეთილშობილ იდეალს“, რომ მას ჩვენში სრულიად მახინჯი სახე არ მიეღო. რასაკვირველია „სახალხო ფურცელი“ მართალს ბრძანებს, რომ სოციალისტები სხვაგვარნაც არიან. მაგრამ სხვა ქვეყნებში თუ ერთი საქმეს აკეთებს რეალურ ცხოვრებას ემსახურება და ერთი კი ოცნებობს, ეს სახელმწიფოებს თუ ერებს არ დაღუპავს. ჩვენში კი ჩვენი „სოციალისტები“ ცდილობენ მთელი ქართველი ერი რეალურ განვითარების გზას ააცდინონ, უნიადაგო უტოპიებ გამსჭვალონ და თუ ვინმე ამას წინ აღუდგება, ისინი ბრაზობენ სოციალიზმის კეთილშობილ იდეალს მასხარათ იგდებსო.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ჟურ. „ცხოვრების“ რედაქცია გვთხოვს გამოვაცხადოთ ამ ჟურნალზე პატივცემულ ქუთათურ ხელის მომწერთა საყურადღებოთ: ვისაც ჟურნალის მორიგი ნომერი თავის დროზე არ მიუვა, ვთხოვთ ეს გარემოება გამოაცხადოს რედაქციის კანტორაში (ქარვასლის ქ. სტამბა „ძმობა“, ჩიქოვანის სახლი), ფულიც იქ წარმოადგინოს და კვიტანცია მიიღოს. აგრეთვე რედაქცია თხოვს ჩვენს მწერლებს, ჟურნალში დასაბეჭდი მასალაც იქვე დატოვონ ხოლმე.

◆ 7 იანვარს, ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში ქალაქის მოურავის ბ-ნ ჩიქოვანის თავჯდომარეობით შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრენ: სამეურნეო კომისიის წევრები, მსხვილი ვაჭრები, კოოპერატივის წარმომადგენელნი და სხვანი. კრებას ბ-ნმა ჩიქოვანმა წაუკითხა მიწათ მოქმედების მინისტრ ნაუმოვის მოწერილობა, რომელშიაც ხსენებული კომიტეტი მოითხოვს მიაწოდოს ქალაქის თვითმმართველობამ მას ცნობები თუ რამდენი უსაჭიროესი სანოვაგე სჭირდება ქ. ქუთაისს და მის რაიონს (ქუთაისის, ლეჩხუმის და რაჭის მაზრას) ორი თვის განმავლობაში, თებერვალში და მარტში.

ამ ცნობების მიხედვით ქალაქს მიეცემა „ნარიადი“ ვაგონებისა ორი თვის საჭირო სურსათის მოსატანად. თათბირზე შეკრებულ ცნობებით გამოირკვა რომ ქუთაისში მომავალ ორი თვისთვის საჭიროა: პურის ფქვილი 200 ვაგონი; (ხორცი რადგან ადგილობრივ იშოვება რუსეთიდან მოტანა საჭირო არაა) ბრინჯეულობა—5000 ფუთი, ზეთი 2000 ფუთი; ერბო 10000 ფუთი; მარილი 20,000 ფუთი; თევზი 10,000 ფუთი; შაქარი რაფინატი (თავი და დატეხილი) 10,000 ფუთი; ფხვნილი შაქარი 4000 ფუთი; ქერი 20,000 ფუთი; ქატო 20,000 ფუთი; თივა 10,000 ფუთი; სიმიდი 60 ვაგონი; ხახვი 4 ვაგონი და ვერმიშელი დ მაკარონი 3000 ფუთი;

ეს ცნობები საჩქაროთ გაეგზავნა სურსათის კომიტეტს-პეტროგრადში.

◆ დღეს ქალ. გამ. დარბაზში სამეურნეო კომისია ითათბირებს პურის ნიხრის დადგენის შესახებ.

◆ ქუთაისის მეყასბეებმა განცხადება შეიტანეს ქალაქის სამმართველოში, ხორცის ნიხრის მომატების შესახებ, რადგან ხორცი ძლიერ გაძვირდა.

◆ მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს ქალაქის თეატრში გაიმართება იაფ-ფასიანი წარმოდგენა „ბედის ტრიალი“.

◆ ბაზრის ზედამხედველმა ი. გელოვანმა ოქმი შეუდგინა შემდეგ პირებს: არონ აბრამის ძე შონზერს და ნიკო სოსიკოს ძე ჩეჩელაშვილს. პირველს სასწორში მოტყუებისთვის და მეორეს ბაზრის წესრიგის დარღვევისათვის.

◆ დღეს საზ. საკრებულოს ახალ დარბაზში გაიმართება [illegible] საბავშვო, საცეკვაო საღამო და [illegible] ადგილების ფასი 1 მან. [illegible]

◆ აგერ რვა თვეა, [illegible]რზე, კარპატებში, უკანასკნელ ბრძოლის შემდეგ, უგზო-უკვლოთ დაიკარგა ჯარის კაცი ნიკო დიმიტრის ძე ვაჩეიშვილი. მისი ნათესავები სთხოვენ მის ნაცნობებს, ვინც მასთან იმყოფებოდა მიაწოდონ მის შესახებ ცნობები. მისამართი: ქუთაისი. კოოპერაცია-ისიდორე სიხარულიძეს.

◆ სოფ. ტყაჩირში (ქუთ. მაზ.) 11 დეკემბერს, საღამოს [illegible] საათზე, [illegible] ჩხობაძეს მოპარეს 127 მ. ნაღდი ფული 1300 მან. ბანკის კვიტანციები.

◆ ქუთ. მომხმ. საზოგადოებამ [illegible] შეიძინა თავისი კიოსკი ივანოვის ქუჩაზე, კიოსკი დღე-დან დაიწყებს მოქმედებას.

◆ ქუთ. მომხმ. საზ. აცხადებს, რომ დღეიდან მას ყოველ კიოსკში ექნება თავისი „საჩივარი წიგნაკები“ რომლებშიდაც კლიენტებს შეუძლიათ ჩასწერონ შიგ [illegible] უკმაყოფილება და საჩივარი ამ საზოგადოებისადმი.

◆ ს. ამაღლებაში გახსნეს უმაღლ. პირ. დაწყებ. სასწავლებელი, რომელსაც ინსპექტორათ მოიწვიეს მიხ. [illegible]შენიძე და მასწავლებლათ მღ. სიმონ მჭედლიძე და მღ. იონა მინდელი.

◆ ღ. საჩხერეში ალექსანდრე წერეთლის სახსოვრად შეუდგენ საქალებო სკოლის დაარსებას.

◆ სოფ. სორმონში ააგეს ახალი სამრევლო სკოლა.

◆ სოფ. საყულიაში ამ დღეებში გახსნიან კოოპერატიულ ფურნეს.

სამღვდელოების ცხოვრებიდან

სამღვდელოებაზე დაქსაქსული და ერთმანეთთან დაუკავშირებელი არც ერთი წოდება არ არის. ორი მეზობელი სამრევლოსი სამღვდელოება თუ იცნობს ერთმანეთს. დღიდან კურთხევისა და მრევლში გაწესებისა მღვდელი მარტო თავის თავზე ზრუნავს და უკეთეს მრევლში გადასვლაზე ცდილობს. სამღვდელოების უმრავლესობას ესაზოგადო საქმე დიდათ არ აინტერესებს, არ აინტერესებს მას არც თავის პირდაპირი მოვალეობის, რიგიანად შესრულება და მღვდელთ-მოქმედების გამშვენება. მას ღრმად სწამს, რომ მისი მოვალეობა მარტო კონდაკ კურთხევანით არის შემოფარგლული. წომ [illegible] უწყოდეს ესა თუ ის მღვდელი მარტო იმ

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ევოლუცია.

ფედერალიზმი.

(წერილი მეოთხე).

თუ ქართველ სოციალ-დემოკრატების თეორეტიული მოღვაწეობის მთავარ საგანს შეადგენდა დასავლეთ ევროპის უმწვერვალესათ განვითარებულ ქვეყნების ნიადაგზე აღმოცენებულ სხვა და სხვა სოციალ-ეკონომიურ თეორიების გაცნობა და მათი გადმონერგვა ჩვენს მწირსა და ხრიოკ ნიადაგზე, სოციალ-ფედერალისტების თავი და თავი ყურადღება მიპყრობილ იქნა იმავე ევროპის პოლიტიკურ ცხოვრების განვითარებით წარმოშობილ ახალ სახელმწიფოებრივ ფორმისაკენ—ფედერალიზმისაკენ.

წინა წერილებში ჩვენ დავინახეთ, თუ როგორი თავგანწირულებით იცავდენ სოციალისტ-ფედერალისტები პოლიტიკურ ავტონომიის პრინციპს, გარკვევით ისიც მოვიხსენიეთ, რომ ისინი მოითხოვდენ აგრეთვე ამ ავტონომიურ წესწყობილების მქონე ეროვნებათა კავშირს, ფედერაციას. სოციალისტ-ფედერალისტები დიდის გულმოდგინებითა და ინტერესით ეცნობოდენ დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოთა ფედერატიულ წეს-წყობილების ხასიათსა და შინაარსს და ცდილობდენ მსგავსი პოლიტიკური წყობილების შემოღებას რუსეთის იმპერიაში. როგორც სოციალისტური აზრების გავრცელება უნაყოფო და მავნებელი შეიქნა ქართულ ეროვნულ ცხოვრების წარმატების თვალსაზრისით, აგრეთვე უნიადაგო და შეუფერებელი გამოდგა ფედერალიზმის ქადაგება რუსეთის სახელმწიფო ფარგლებში მყოფ ეროვნებათა შორის სასურველ ურთიერთობის დასამყარებლათ.

ჩვენი შეხედულება ფედერალიზმზე ყველასათვის, რომ გასაგები და ნათელი დარჩეს საჭიროთ ვრაცხთ ახლავე გავაცხადოთ, რომ ჩვენ სრულიადაც არ უარვყოფთ ფედერატიულ პრინციპს, პირიქით მიგვაჩნია, რომ იგი უძვირფასესი და უმნიშვნელოვანესი ნაყოფია დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ ვითარების ნიადაგზე ნაზარდი, აღმოცენებული და გაფურჩქვნილი წარსულ საუკუნის განმავლობაში, ხოლო თუ ჩვენი შეხედულებით, შეუძლებელია რუსეთისა და მის ხელქვეით მყოფ ეროვნებათა შორის ფედერატიული კავშირის დამყარება, ამის მიზეზი თვით ამ ფედერატიული წესწყობილების ბუნებაში უნდა ვეძიოთ და არა სხვაგან სადმე. ამ კითხვის გამოსარკვევად საჭიროა დაახლოვებით მაინც გავეცნოთ იმ საფუძველს, რომელზედაც ემყარება ძველი და ახალი ქვეყნების სახელმწიფოთა ფედერატიულ პრინციპზე აგებული პოლიტიკური მართვა-გამგეობა. ავიღოთ შვეიცარია, ეს უძველესი დემოკრატიული ქვეყანა, სადაც განვითარდა და შემუშავდა მტკიცეთ განსაზღვრული სახის მქონე პოლიტიკური ფედერატიული ორგანიზაცია.

შვეიცარიის ფედერატიული სახელმწიფო (Etat fédératif) შეიცავს 22 კანტონს; თვითეულ კანტონს საკუთარი ავტონომიური წეს-წყობილება აქვს მინიჭებული: თავის საკუთარი საკანონმდებლო დაწესებულებანი, პოლიცია, სწავლა-განათლების ორგანოები და სასამართლო მოხელეები. ერთი სიტყვით თვითეულ კანტონს უფლება აქვს მოაწყოს თავისი შინაური ცხოვრება ისე, როგორც მას სურს და არავის არ შეუძლია ხელი შეუშალოს მას ამ საქმეში. ამ ნაირათ კანტონი წარმოადგენს პატარა სახელმწიფოს, რომელსაც ამ უკანასკნელის თითქმის ყველა ატრიბუტები მოეპოვება. ამიტომაა, რომ სახელწოდება სახელმწიფო (Etat) ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით შერჩენილი აქვს თვითეულ ამ პაწია თვითმართველ პოლიტიკურ ორგანიზაციას, კანტონს. ყველა ეს ავტონომიური კანტონები თავს იყრიან და ერთმანეთს უკავშირდებიან საერთო ინტერესების დაცვის მიზნისათვის; კანტონების ამნაირ კავშირიდან შედგება ორი უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულებანი: ნაციონალური საბჭო (conseil national), სადაც ყოველი კანტონი გზავნის წარმომადგენლებს მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით და სახელმწიფოთა საბჭო (conseil des Etats), რომელშიაც თვითეულ კანტონიდან, სულ ერთია დიდი იქნება იგი თუ პატარა, იგზავნება ორი დეპუტატი. ნაციონალური და სახელმწიფოთა საბჭოები შვეიცარიის უმაღლეს სასამართლო დაწესებულებასთან—ფედერატიულ სამჯავროსთან ერთად, შეადგენენ შვეიცარიის ფედერატიულ ორგანოებს, რომლის მთავარ დანიშნულებას შეიცავს საერთო საქმეებზე ზრუნვა: დიპლომატიური მოლაპარაკების გამართვა გარეშე სახელმწიფოებთან (საგარეო პოლიტიკის წარმოება), საერთო სამშობლოს თავდაცვის მიზნისათვის თავდარიგის დაჭერა საჭირო ძლიერი სახედრო ორგანიზაციის შექმნის მეოხებით, ფედერატიულ კავშირში მყოფ სხვა და სხვა კანტონებს შუა ატეხილ დავის მოწესრიგება და თვალყურის დევნება, რომ რომელიმე კანტონმა ან რამოდენიმემ ერთად, არ დაარღვიონ ზემოხსენებულ საერთო დაწესებულებათა მიერ შემუშავებული ყველა კანტონებისათვის სავალდებულო დადგენილებანი და სხვა.

ამნაირათ, შვეიცარია, მიუხედავათ იმისა, რომ იგი დაყოფილია 22 პატარა ავტონომიურ სახელმწიფოებათ (Etats), ამ პოლიტიკურ ავტონომიის მქონე ერთეულთა ფედერაციის წყალობით, ერთ მთლიან ეროვნულ ორგანიზაციას წარმოადგენს. ამნაირივე ხასიათის გახლავს დაახლოვებით ავსტრალიის, კანადის, შეერთებული შტატების და კონტინენტის დანარჩენ ფედერატიულ სახელმწიფოთა პოლიტიკური წესწყობილება. ამერიკის ფედერაცია 47 შტატისაგან შესდგება; თვითეული შტატი იმგვარივე პოლიტიკური უფლებებით არის აღჭურვილი, როგორც შვეიცარიის კანტონი. შეერთებულმა შტატებმა შექმნეს, შვეიცარიის მსგავსათ, უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულებანი და სასამართლო: სენატი, კონგრესი და ფედერატიული სამჯავრო. ყველა ამ უზენაესი ორგანოების დანიშნულება და კომპეტენცია შვეიცარიის ფედერატიული ორგანოების დანიშნულებას და კომპეტენციას უდრის მცირეოდენი განსხვავებით. შეერთებული შტატების ამნაირი პოლიტიკური წეს-წყობილება სამაგალითო და მისაბაძი შეიქნა ბევრ დანარჩენ ქვეყნებისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის სახელმწიფოებრივი წყობილებაც ფედერატიულ საფუძველზე არის აგებული. როგორც ვიცით, გერმანიის იმპერია შეიცავს ოთხ სამეფოს (პრუსია, ბავარია, საქსონია, ვირტემბერგი), 11 დიდ სამთავროს, 7 პატარა სამთავროს, 3 თავისუფალ ქალაქს (ჰამბურგს, ბრემენს და ლიუბეკს) და ეგრეთ წოდებულ საიმპერიო მიწას: ელზას-ლოთარინგს; თვითეული მათგანი სარგებლობს ავტონომიის მაგვარ პოლიტიკური თვითმართველობით; ზოგიერთს საკუთარი პარლამენტიც კი მოეპოვება (ლანდტაგი) და უფლებაც აქვთ გამართოს დიპლომატიური მოლაპარაკება გარეშე სახელმწიფოებთან. მაგრამ მიუხედავათ ამგვარ პოლიტიკურ დეცენტრალიზაციას, გერმანია ყოველ ეჭვს გარეშე წარმოადგენს უძლიერესათ მთლიან და ზედმიწევნით გაერთიანებულ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას.

ჩვენს წინაშე ეხლა აღმართულია მეტად საგულისხმიერო და დიდმნიშვნელოვანი საკითხი შესახებ იმისა, თუ როგორია ის პირობები, რომლის წყალობით შესაძლო ხდება ავტონომიური წყობილების მქონე ერთეულთა შორის ფედერატიული კავშირის განხორციელება. ამ კითხვას ეხება და ითვალისწინებს, სხვათა შორის, ინგლისის სახელმწიფოს ყოფილი ელჩი შვეიცარიაში, ადამსი, რომელიც რამოდენიმე წლის განმავლობაში სწავლობდა გულმოდგინეთ ფედერატიულ წესწყობილების დედა—აზრს. და ნიშანდობლივ თვისებებს. ამ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ბეჯითი და ხანგრძლივი კვლევა-ძიების ნაყოფი შეიქნა შესანიშნავი, მეცნიერულ ხასიათის ნაწარმოები, სახელდობ „შვეიცარიის კონფედერაცია“. ადამსის მიერ წამოყენებულ დებულებებს იზიარებენ თითქმის ყველა სპეციალისტები ფედერალიზმის საკითხში: გამოჩენილი პროფესორები და პრაქტიკული მოღვაწენი.

ადამსის შეხედულებით პირველი და აუცილებელი პირობა ურომლისოთ ყოვლად შეუძლებელია ფედერატიული კავშირის დამყარება იმაში მდგომარეობს, რომ ფედერაციაში შესვლის მოსურნე ერთეულნი, კანტონები იქნებიან ისინი, შტატები თუ სხვა სახის მქონე საზოგადოებრივი ორგანიზაციები, უნდა იყვნენ ერთმანეთთან დაახლოვებულნი და დაკავშირებულნი საერთო ისტორიული ცხოვრებით და თავგადასავალით, ზნე—ჩვეულებით, ტრადიციებით და აზროვნებით აგრეთვე მატერიალურ, კულტურულ და ზნეობრივ განვითარების მხრივ დაახლოვებით ერთნაირ სიმაღლეზე უნდა იდგნენ. ამ თვალსაზრისით მოსახერხებელია და ბუნებრივი შვეიცარიის კანტონების, ჩრდილო ამერიკის შტატების ფედერატიული კავშირი, ხოლო იქ, სადაც არ არსებობენ ანალოგიური პირობები შეუძლებელია ფედერალიზმის გატარება. თუ მაინც და მაინც მოისურვებენ და განახორციელებენ ფედერატიულ წესწყობილებას იგი მეტად ხანმოკლე და უნიადაგო იქნება. ვინ არ იცის, რომ დიდი ბრიტანიის იმპერიაში მყოფი ერებს და კოლონიებს ვერავითარი საშუალებით ვერ მოუხერხებიათ არსებობა ერთ პოლიტიკურ სხეულში. მართალია ამის მიზეზი ის ეროვნული ჩაგვრა—შევიწროება, გახლდათ, რომელსაც ისინი განიცდიდენ ინგლისის მხრივ, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისში იყო, შემდეგ, როცა ინგლისმა შეიგნო სრული უნაყოფობა და სიკოტრე ამგვარი პოლიტიკისა, მყისვე შესცვალა თავისი ტაქტიკა დ შეეცადა მის ხელქვეით მყოფ უცხო ელემენტების დაახლოვებას და გულის მოგებას ავტონომიური მართვა გამგეობის მინიჭებით მათთვის, მაგრამ არ იქნა არ-

გაიძახის „უწინდელი დრო აღარ არის „ხალხი გაფუჭდა“ და სარწმუნოება დაეცა“. და თუ რამ დასცა სარწმუნოება და ხალხი რამ „გააფუჭა“ ამის ძიებაში არ შედის. ისე იქცევა სამღვდელოება, ვითომც დასახული მიზნის საკურნებელი წამალი თავის თავად მოვა. წელიწადში თუ ერთხელ საბლაღოჩინო კრებას დაესწრო დიდი საქმე გონია. საბლაღოჩინო კრებებიც, მათი მესვეურების წყალობით, ისეა დაყენებული, რომ ამ კრებებზე არავითარ საზოგადო და საეკლესიო საკითხებს არავითარი ადგილი არ აქვს. ოფიციალური ქაღალდების შინაარსის მოსმენა და მათზე ხელის მოწერა შეადგენს საბლაღოჩინო კრებების დანიშნულებას. თუ ვინმე რომელიმე მღვდელი, ათასში ერთხელ, წამოაყენებს საზოგადო საკითხს ამ გვარ საკითხს ან ბლაღოჩინი ჩაკლავს დასაწყისშივე და ან დამსწრე სამღვდელოება ჩაქოლავს, ჩვენის აზრით კი დიდათ საჭიროა, რომ სამღვდელოება საზოგადო ფერხულში ჩაებას და ჩვენ მოწინავე ინტელიგენციას დაანახვოს, რომ იგი მკვდარი წოდება არ არის. სამღვდელოება რაც მალე შეიგნებს ამას, მით უფრო კარგია უპირველეს ყოვლისა პირადათ მისთვის. ამ ჟამად ქართველ ინტელიგენციას, როგორც ვიცით დიდი გავლენა აქვს მოზრდილი ხალხში; ჩვენი ხალხიც კაი ხანია გამოღვიძების გზაზეა დამდგარი, სოფლად ჟურნალ-გაზეთობას მდაბიო ხალხი უფრო ეტანება, ვიდრე სამღვდელოების უმრავლესობა ეს გარემოება კი სამღვდელოებას უხერხულ მდგომარეობაში აგდებს. გონებრივად სამღვდელოება უნდა უსწრებდეს ხალხს, იგი უნდა იყოს მისი გზის მაჩვენებელი. ამის შექმნა სამღვდელოებას მხოლოდ ერთმანეთთან დაახლოვებით და დაკავშირებით შეუძლია. საერთო ძალა აამაღლებს სამღვდელოებას გონებრივად და ზნეობრივად ამაღლებული ქონებრივადაც ამაღლებულია. თუ კი სახალხო სკოლების მასწავლებლებმა შექმნეს ურთიერთ შორის კავშირი ნუ თუ სამღვდელოებას არ შეუძლიან ასევე მოიქცეს. ამ მხრივ საქალაქო სკოლების მასწავლებლებმა დააგვირგვინეს მასწავლებლების საერთო და სასარგებლო საქმე. კარგი იქნება ჩვენი ქალაქის სამღვდელოება ამ გვარ ძმურ დახმარებას აღმოუჩენდეს თავის მოძმე სოფლის სამღვდელოებას.—

მ. ბუაჩიძე.

პატარა ფელეტონი.

სატირალში.

(სურათი სოფლის ცხოვრებიდან).

— ლუზია, ლუზია, ლიუზიაა!

— შემოდი, დედა, პიშკარში, შემოდი, ნუ გეშინია მურასი, არ გიკბენს— მიაძახა თავის სახლის კარებიდან მართამ, პიშკართან ატუზულ პატარა გოგოს, რომელიც აგერ კაი ხანია გაიძახის „ლუზიას“ და თან აქეთ იქით აბეცებს შიშით თვალებს, რომ მართას ძაღლი „მურია“, ტიტველ კანჭებში არ ეცეს და სახლში აღრიალებული არ გაუშვას.

დედამ შემოგითვალა რომეო, ჩემო მართა, შენ თავშენახული ქალი ხარ დღეს სატირალში მივდივარ და იქნება გადასახურავ ფულზე, ხუთ შაურზე, მომინაცვლო ხელიო; დღეს კაცი [1]) წავიდა ზესტაფონში ყავრის გასაყიდათ და საღამოზე, როგორც მოვა ჩემი ხელით მოგართმევო.—ასე დაათავა პატარა მარიამმა მართასთან, დედისაგან დაბარებული სიტყვები და ცალთვ მოიხედა უკან, „მურა“ ხომ არ მეპარებაო.

— მეტათ არ მომიკვდეს ჩემი კაკალი სამად, ამი შვილი ჩემო ილიტე თქვა, რავარც მე ისე ვიყო დახიჯნილი, რომ ხუთი შაური კი არა, ხუთი კაპიკიც კი არსად გამეძიებოდეს თქვა; მაგრამ დედა შენი პატივის მცემელი ქალია, ზოგიერთ პორიკანა ქალებს არ ჰგავს და იმას უარით აღარ გიუშობ. დაჯექი, შვილო აგერ წინკარში და მე ლევანტიას ცოლთან გადავალ, იქნება იმას ექნეს და ის ვიცი, მე არ დამიკავებს.—ეს თქვა მართამ, თავზე თავსაფარი გაისწორა, ჩაუშვა აპოკალთაფებული კაბა და მეზობლისაკენ გაემართა.

როდესაც მართა, თავის სახლს მოეფარა პატარა ხანი შეჩერდა, მიმოიხედა აქეთ იქით და კაბის ჯიბიდან ჭუჭყიანი, ერთ ყურში რამოდენიმეჯერ გაფსკვნილი ჩვარი ამოიღო. გახსნა გაფსკვნილი ყური, იქიდან რამოდენიმე შაური ფული ამოალაგა და ისევ უკან გამოსწია.

— რავარც იქნა მასეხვა, შვილო. აი, მოუპირე კარგად ხელი, არ დაგეკარგოს. მიუტანე დედას და უთხარი რომ ლევანტიას ცოლიდან, ელუკიადან, ისესხა თქვა და თუ ქალი ხარ საღამოსთვის იქნება უსათუოდ მიშოვო თქვა.—იცრუა მართამ და გადასცა ჩვარის ნახევში გამოხვეული ფული პატარა მარიამს, რომელიც მართასაგან ნათქვამი ყოველ სიტყვას იმეორებდა, რომ არც ერთი არ დავიწყებოდა და სწორად გადაეცა დედისთვის, რასაც მას მართა დაბარებდა.

— —

— გამოდი, ბოშო, ფეხი, გეშველოს მისვლა!—ჯერ კიდევ კარგად შორს იყო პატარა მარიამი, როდესაც დედამისმა, ეკამ ასე მიაძახა.

მარიამმა, რა გაიგონა დედის ხმა სირბილით წამოვიდა და მოახლოვებისთანავე ჯერ კიდევ ორღობიდან დაიყვირა: დედაა! ქე გამომატანა, თითონ არ ქონდა და ლევანტიას ცოლიდან, ელუკიადან ისესხა.

— გაგიხმეს შვილო ენა.—მიაწყევლა ახლად მოსულ მარიამას.—რა გაყვირებდა, შე მიწა გასაგლეჯო, სახლში რომ მოხვიდოდი მაშინ არ შეიძლებოდა მაგის თქმა, შორიდან არ დაგეყვირა და ქვეყანა არ შეგემტუტებია! უი, შენ დაუმიწდი შენ დედას, რამდენჯერ გითხარი, გოგო რომ, ახლოს რომ მოხვალ მაგისთანები მერე უნდა მითხრა თქვა ა! რამდენჯერ?! ამ ბოლო სიტყვის შემდეგ ერთი კარგად ღონივრად ტყეპა ხელი თმა გაწეწილ თავში, ილეკუმ მარიამას მან ტირილი მორთო და სახეზე ხელაფარებული სახლის ყურეს აეტუზა.

— მე შენ გაჩვენებ ზლუქუნს. შენი ლანდი არ დევინახო დღეს იმ სატირალში, ამ საათში ძროხა წეიყვანე საბალახოზე და კარგად გააძღე, თავ მიკრული რომ აბია ეგერ და საცოდავათ ბღავის.—უბრძანა ილიტემ მტირალა მარიამს და იმან კი ტირილს უფრო მოუმატა, როდესაც დედის მკაცრი სიტყვები გაიგონა: „შენი ლანდი არ დავინახო დღეს სატირალში“-ო ამ სიტყვებმა ყველაზე უფრო იმოქმედა მარიამაზე, იმიტომ რომ დედამისმა დილაზე მას არაფრის ჭამის ნება არ მისცა, „სახლში რომ გაძღე სა, ტირალში რაღა გინდა ჭამო“-ო ეხლა კი აღარც იქ მიყავდა და სახლშიაც მშიერს სტოვებდა.

— —

შავ ტანისამოსში გამოწყობილ და თავზე აგრეთვე შავ დარაიის თეთრ წინწკლებიან თავსაფარ დახურულ ორი ხელიხელს ჩაკიდებული ბავშვი უკან მისდევდა, მესამე ქალს ძუძუ მწოვარა გოგო ცალ ხელში ჰყავდა აყვანილი და ცალში კი ქოლგა ეჭირა, როდესაც ის პარმენ კავიძის ეზოში შევიდა. შესვლისთანავე, ილიტე, იქვე ეზოში ხის ქვეშ მოგროვილ, დედაკაცებს მიესალმა, რომელთაც ტირილი უკვე გედღავებიათ და თვალი გაშლილ სუფრისაკენ ეჭირათ: აბა როდის მოვიდეს ჩვენი რიგი და მიგვიხმონო.

— მართა, თქვენც აქ ბრძანდებით,—მიმართა ქალების შუა ჩამჯდარ მართას, რომელიც გაცხარებით მუსაიფობდა რაღაცაზე.

— გენაცვალე, უკაცრავად კი ვარ მაგრამ, ერთ პირობანს იქნება ეს ბლარი დამიკავო, მე პირისუფლებს მიუსამძიმრებ და ამ საათში გამოვალ.

— კი ბატონო, მომეცი ბლარი აქ და წაბრძანდით.—უთხრა მართამ ილიტეს და გაუწოდა ხელები ბავშს.

როდესაც ილიტემ მართას ბავში ჩააბარა, გაემართა იმ სახლისკენ, საიდანაც ტირილი მოისმოდა და მიცვალებული ესვენა. შესავალთან პატარა ხანი შეჩერდა, სწორედ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა: არ იცოდა როგორ ეტირა ცრემლით ის ადამიანი, რომელიც მხოლოდ ერთხელ ენახა, წირვაზე, როდესაც ის ახალი ნათხოვი ყავდა, პარმენ კავიძეს.

მაგრამ ილიტე მალე გამოვიდა ამ უხერხულ მდგომარეობიდან: ერთი წლის გარდაცვლებული ძმა მოაგონდა და ისე აუჩუყდა გული, რომ ცრემლები მდინარესავით მოასკდა თვალებზე და მწარედ აქვითინდა.

— მობრძანდით ბატონო!—გაისმა კარებზე ატუზულ კაცის ხმა, რომელიც რიგრიგობით უშვებდა მომსვლელებს მიცვალებულის სატირლად.

ეხლა ილიტემ ქვითინი, წივილ-კივილზე გადაიტანა და თმა გაშლილი, მოკრიახე შევიდა მიცვალებულთან.

თმა გაშლილ პირისუფალ ქალებს, მიცვალებულის მარცხნივ და მარჯვნივ მოკეცნით ტახტზე და დაუწყნარებლად გაჰკიოდენ რაც შეეძლოთ კუბოს თავთან. ძირს მიწაზე, ფეხზე იდგა შავებში ჩაცმული, ხელებ დაკრეფილი, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა კაცი, განსვენებულის მეუღლე, პარმენ კავიძე, რომელიც ხშირ-ხშირად იცემდა შუბლზე ხელს და „ვაი ჩემს მოსწრებასო“ გაიძახოდა. ილიტეს შესვლისთანავე, პირისუფლებმა ტირილს მოუმატეს და საერთო წივილ-კივილი შეიქნა. გაცხარებული მოკრიახე ილიტე, თმა გაწეწილი დაეცა კუბოს თავზე, და დიდხანს, ისე გულმომკვდარი სტიროდა, რომ მართლაც შესაბრალისი იყო. მას ისიც კი დაავიწყდა, ვის სტიროდა: თავის ძმას, თუ მეზობლის ქალს და გაჰკიოდა „რავა უდროვოდ მოგვშორდი, ძამო ალექსანდრე“-ო.

— —

ეზოში, ხის ქვეშ გაშლილ, გძელ სუფრას ქალები შემოსხდომოდენ და ისეთი სისწრაფით და მადით სჭამდენ რომ, რამდენიმე წლის დამშეულები გეგონებოდათ. მათ ჩურჩულ ფუჩფუჩს [illegible] არა ჰქონდა. პირებს იქვე სახსოვდენ და ერთმანეთს უზიარებდენ. ახლა ამბებითაც უმასპინძლდებოდენ ერთი [illegible] ვე დროს სადატირალოში [illegible] დენ...

— ეკა, ხომ არ იცით, თუ როგორარის მოლაქის ცოლი ნატალია? თქვენ რომ ავათ არისო, ახლა რავაა ნეტა?—დაეკითხა შავ თვალ წარბა ელისაბედი, მის პირდაპირ მჯდომ ეკას.

— იმას რომ სახელი დოუგვარდა გენაცვალე, ქე ჯობია რომ მოკვდებოდეს ი უბედური.—გულამოხვნეშით წარმოსთქვა ელისაბედმა.

— რა დაემართა?—გაკვირებით დაეკითხა ელისაბედი, ვარდოს.

— მისთანა ჩემ მტერს და ავისმდომელს, ჩემო ელისაბედ, ბეჩა, კუდიანობა არ დაუვარდა!.. და ახლა სათოფედ არ დასდევს ნესტორა განიძე!..

— უი, უი, მაგისთანა თქვა ჩემმა მტერმა!—გაიცოცხლა ელისაბედმა.

— ამასწინეთ, ბეჩა, ნესტორას ცოლი რომ ლოგინად წვებოდა, ი უბედური ნატალია მისულა სანახავად და თურმე მისი სახლში შესვლა და ნესტორას ცოლის უარესად ავად გახდომა ერთი იყო. ისე შეიქნა, ის საცოდავი, თურმე ავად, რომ კინაღამ გათავდა ქალი და ფეხები გააფშიკა. გასაკვირველი ის არის, ქალო, რომ, როგორც წამოვიდა თურმე ნატალია, იმ საათში მიიხედა ავადმყოფმა და ტანჯვისაგან განთავისუფლდა, ერთი კარგი ბიჭი გადმოაკოტრიალა და როგორც იქნა ამოითქვა სული.—დაამთავრა ვარდომ.

— უი, ჩემს თვალებს! დედა, დედა! რამდონი შეძლებია ქალო, კუდიან ადამიანს... დაუმატა, ლოყაზე ცალი ხელის ჩაბრჭყალვით ელისაბედმა.

სუფრის თავში ჩვენ სამ ნაცნობ ქალს: ილიტეს, თავის ბავშვებით, ელუკის ლევანტიას ცოლს და მართას, ერთად შეეყარათ თავი და თავისთვის მუსაიფობდენ, რაღაცაზე.

— თუ კაცი ხარ ვასილ, ერთი ჩვენ ბოვშს ბრინჯი მოუტანე კიდე. ლობიოს ვერ ვაჭმევ, ზეთიანია და მშიანია რომ აწყინოს.—ამ სიტყვებით მიმართა მართამ და გადასცა ჯამი „კიდევ ბრინჯის“ მოსატანათ, ფეხზე მდგომ მორიგე ვასილს, რომელმაც დიდის სისწრაფით მოიტანა ბრინჯით სავსე ჯამი და მიართვა მართას ბავშს.

— ქალო, ილიტე, ბეჩა, შენი უმფროსი ქალიშვილი მარიამი, რატომ არ წამეიყვანე. ის ახლა კი დიდი გოგოა და აწი ასეთ შეკრებილებაში, ქე უნდა გამოიყვანო ხოლმე. დარიგება მისცა ელუკამ ილიტეს.

— შენი მარიამი, რამდონი წლისაა ახლა?—დაეკითხა მართა.—სწორედ, ვარ-

---

მოხერხდა ბრიტანიის იმპერიაში მყოფ ეროვნებათა და კოლონიალური ქვეყნების მჭიდროთ დაახლოვება—დაკავშირება მეტროპოლიასთან, ვინაიდგან ერთობ ღრმა და დიდი გამოდგა ინგლისელთა და ამ უცხო ეროვნებათა და კოლონიალურ ქვეყნებში მოსახლე ხალხთა შორის არსებული რასიულ ლინგვისტიური თუ კულტურულ—ზნეობრივი სხვა და სხვაობა და ინტერესთა წინააღმდეგობა რაც უფრო მეტ თავისუფლებას და პრივილეგიებს ანიჭებს მათ ინგლისი. მით უფრო ძლიერდება მათში სურვილი ინგლისიდან გათიშვისა, განცალკევებისა, საკუთარ, დამოუკიდებელ და სრულ უფლებიან ეროვნულ ცხოვრების დასამკვიდრებლათ. ამ უცნაურ მოვლენას ბევრი ხსნიდა ბრიტანიის კოლონიალური ქვეყნების სიშორით მეტროპოლიიდან, რაც მეტად აძნელებს ინგლისისა და მათ შუა შემაერთებელი ხიდის გადებას, მაგრამ მარტო ეს მიზეზი არა კმარა ამ ფაქტის ასახსნელად, რადგან მაშინ ჩვენთვის გაუგებარი იქნებოდა ინგლისის ახლოს მოსახლე ერის ირლანდიის, ლტოლვა ბრიტანიის იმპერიიდან განშორება გამოყოფისათვის, იმავე მიზეზის გამო, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, მოუხერხებელია ავსტრო უნგრეთის იმპერიაში მოსახლე მრავალ ეროვნებათა შეკავშირება ფედერატიულ საფუძველზე, იმდენათ განსხვავებული და თავისებურია თითეულ მათგანის ისტორიული ცხოვრება ზნე—ხასიათი, ტემპერამენტი და მისწრაფებანი. ყველა ამასთან ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ერთი მეორეს მოსაზღვრე ეროვნებათა შორის შეუძლებელია, ადრე თუ გვიან, არ ჩამოვარდეს წინააღმდეგობა და შუღლი, რომელიც ძლიერ ხშირად ერთიმეორის ძულვილით თავდება ხოლმე, რაც იმ გარემოებით არის გამოწვეული, რომ ამ ტერიტორიალური სიახლოვის გამოისობით მათ შორის ბუნებრივათ მყარდება ნაირ-ნაირი დამოკიდებულება და ქიშპობა; თვითეული მათგანი ცდილობს უკან არ ჩამორჩეს დანარჩენს, არ დაჩაბუნდეს და დასუსტდეს ისე, რომ მეზობელმა შესძლოს მისი დაჩაგვრა და მორევა. ამის გამო ის არ თაკილობს დაუახლოვდეს და შეუკავშირდეს სხვა ეროვნებათ თავის მეზობელ ერის შესაფერხებლათ და დასაუძლურებლათ. გარეშე ამისა ყველამ უწყის, რომ ტერიტორიალურ ნიადაგზე მუდამ ჟამს არსებობდა და არსებობს ბრძოლა და დავა სხვადასხვა მოსაზღვრე ეროვნებათა შორის, რაც შეუძლებლათ ხდის მათ შორის მეგობრულ და სოლიდარულ განწყობილების დამყარებას. ამის ცოცხალ მაგალითს წარმოადგენს საფრანგეთის და გერმანიის შორის არსებული დაუცხრომელი ბრძოლა და სიძულვილი ელზას-ლოტარინის გამო, ოსმალეთის და ბალკანეთის ერების ერთმანეთთან მუდმივ შუღლი და შეხლა შეტაკება, თვით ამ ბალკანეთის ერების ერთი მეორის გადაკიდება და მტრობა ტერიტორიის გულისათვის, რუსეთის ომები ოსმალეთთან, შვეციასთან, იაპონიასთან, ჩინეთ-იაპონიის დავა-უთანხმოება შეერთებულ შტატებსა და მექსიკას შორის ატეხილი ბრძოლა და სისხლის ღვრა.

დღევანდელ ქართულ-სომხურ გამწვავებულ დამოკიდებულებას და შუღლს აგრეთვე იგივე მიზეზი, ტერიტორია, უდევს სარჩულად.

წარსულ საუკუნის ნახევარში წარმოშობილმა ახალმა სოციალურმა მსოფმხედველობამ, ინტერნაციონალურმა სოციალიზმმა დაიჩემა სრული თანხმობა-სოლიდარობის განმტკიცება დედა-მიწის ზურგზე მცხოვრებ ყველა ეროვნებათა შორის მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხის ერთმანეთთან დაახლოვებით იმ მოსაზრების ძალით, რომ მუშათა კლასს, რომელიც ერის უმრავლესობას შეადგენს სამშობლო არ მოეპოვებაო. დღევანდელი სამშობლო მას დედინაცვლობას უწევს და ამიტომ სრულიად არ არის იგი დაინტერესებული მის დაცვა-პატრონობაში. გაჭირვებულ ხალხისათვის სულ-ერთია, ვინ იქნება მისი სისხლის მწოველი და შემავიწროებელი თავისი თუ უცხო ქვეყნის ბურჟუა კაპიტალისტიო. ამ მეტად სამპლისტურ სოციალ შეხედულებას იმ თავშივე გამოუჩნდენ მოწინააღმდეგენი, რომელნიც აღიარებდენ ეროვნული ორგანიზმის მოვლა შენახვის საჭიროებას მუშათა კლასისათვის, რომელსაც, ისე როგორც დანარჩენ სოციალურ ჯგუფებს, არ შეუძლია არსებობა ეროვნულ ორგანიზაციის გარეშე, მაგრამ კოსმოპოლიტიკური მიმართულება მაინც თავისას გაიძახოდა, სანამ თვით ცხოვრების გამოცდილებამ აშკარად არ დაანახა ქვეყნიერებას ამ ცალმხრივ და უკიდურეს შეხედულების სრული სიყალბე და უნიადაგობა იმ დროს, როცა ყველა ქვეყნის დოკტრინიორები დარწმუნებული იყვნენ, რომ დღეს თუ ხვალ, აუცილებლათ უნდა განხორციელებულიყო ხალხთა შორის ძმობა, ერთობა და სოლიდარული ცხოვრება, ჩვენ მოწამე შევიქენით ხალხთა უმაგალითო და საზარელ შეხლა-შეტაკებისა და დაუზოგველ ხოცვა-ჟლეტისა. თუმცა ზოგიერთი ჯინიანი და გაუტეხელი დოკტრინიორი ამ მოვლენას მუშათა კლასის შეუგნებლობით და მოუმზადებლობით ხსნის, მაგრამ ამნაირი ახსნა-განმარტება დღეს აღარავის აკმაყოფილებს, რადგან, თუ ხალხს, მართლაც, ჯერ კიდევ ვერ შეუგნია ძმობა-ერთობის მნიშვნელობა და იგი გამხდარა უბრალო იარაღათ გაბატონებულ კლასების მერკანტილურ სურვილების აღსასრულებლათ, შეუძლებელია ამნაირი შეუგნებლობა და მოუმზადებლობა დავსწამოთ ამ ხალხის ინტერესების ერთგულ მუშაკს და მცველს, სოციალისტურ ინტელიგენციას, რომლის უმრავლესობა მხურვალე მომხრე და მონაწილე შეიქნა დღევანდელ თავზარდამცემ საშინელ სისხლის ღვრისა. ასე რომ ერთა შორის მტრობა უთანხმოება და შუღლს ჯერ კიდევ არ უჩანს დასასრული და ვინც მართლაც თავის ოცნების მიერ შექმნილ ილუზიებს აყვება და არ ათხოვებს ყურს ცხოვრების ცხარე გამოცდილებას, მუდამ ჟამს მოტყუებული და დამარცხებული იქნება.

ჩვენი შეხედულებით არც რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ეროვნებათა ფედერაცია გახლავთ შესაძლებელი, რადგან ერთობ დიდია მათ შორის არსებული განსხვავება, როგორც გვარტომობის მხრივ, აგრეთვე კულტურულ და ზნეობრივ განვითარების თვალსაზრისითაც. რუსეთის იმპერიაში მოსახლე ყველა ეროვნებათა წარმომადგენლების მოღვაწეობა ერთს საერთო დაწესებულებაში, წმინდა ტექნიკური თვალსაზრისითაც მოუხერხებელ საქმეთ მიგვაჩნია, რადგან აქ ერთმანეთს შეხვდებიან სხვა და სხვა კულტურის, სხვა და სხვა ისტორიული წარსულის მქონე და ერთი მეორის გაუგებარ ენაზე მოლაპარაკე ხალხთა წარმომადგენელნი, რაც შეუძლებლათ ხდის მათ თანამშრომლობას და ნაყოფიერ მუშაობას საერთო საკანონმდებლო თუ სხვაგვარ ხასიათის საზოგადოებრივ დაწესებულებაში.

ზემო ნათქვამიდან შემდეგი დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ: ფედერალიზმი არ არის უნივერსალური ხასიათის მქონე პოლიტიკური მოძღვრება. მისი შემოღებისათვის განსაზღვრული პირობები არის საჭირო, რომელზედაც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი.

როგორც ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა ვერ აულეს ალღო ქართველი ხალხის საჭიროებას და მისი სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ დასავლეთ ევროპაში შემუშავებული, სხვა და სხვა სოციალურ-უტოპიურ თეორიების საშუალებით მოინდომეს, აგრეთვე ვერც სოციალისტ-ფედერალისტებმა შესძლეს თავიდან აეცდინათ ადამიანის სულისა და გულის გამრყვნელი და დამამახინჯებელი დოკტრინიორობა და მიმბაძველობა და მათი სოციალ-პოლიტიკური მოძღვრება და მისგან გამომდინარე ეროვნული პოლიტიკა გამოუსადეგარი და საზიანო შეიქნა ქართველი ერის ჭეშმარიტების ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. ამნაირი მარცხი სოციალისტ-ფედერალისტებს მოუვიდათ სოციალისტური დოკტრინის მოსარჩლეობის გამოისობით, ბედის უკუღმა ტრიალის გამო გასოციალისტებულ ქართველი ხალხი სიმპატიის მოსაპოებლათ მათ მიერ დასახულ ეროვნულ მიზნის მისაღწევად. როგორც ერთ წინა წერილში გვქონდა განმარტებული სოციალიზმი ინტერნაციონალური ხასიათის სოციალ-პოლიტიკური მოძღვრება გახლავსთ, მისთვის ერთგვარათ სავალდებულოა, როგორც თავის აგრეთვე უცხო ქვეყნის ხალხის ინტერესების დაცვა. სოციალ-დემოკრატიული მსოფლ-მხედველობის მიხედვით ამისათვის აუცილებლათ საჭიროა ეროვნებათა შუა დადგმულ ყოველგვარ საზღვრისა და მიჯნის მოსპობა, ხოლო სოციალ-ფედერალისტებმა ამავე მიზნისათვის მაგრათ ხელი ჩაჰკიდეს და მხურვალეთ გამოექომაგენ ფედერალიზმს, რომელიც აღიარებს მტკიცეთ განსაზღვრულ და შემოფარგლულ ტერიტორიის მქონე და თანასწორ უფლებით აღჭურვილ ეროვნებათა კავშირს და არ კითხულობენ იმას, თუ რამდენათ ეთანხმება მათ მიერ შედგენილი პოლიტიკური გეგმა, მაგალითად, რუსეთში და კავკასიაში მოსახლე ყველა ეროვნებათა სურვილს და მისწრაფებას ან რამდენათ ხელსაყრელი და სასარგებლო იქნება მისი სისრულეში მოყვანა ყველა ამ ეროვნებათათვის. იმით გაუგიათ, რომ ძველ და ახალ ქვეყნებში მოსახლე მრავალ ეროვნებათა და ხალხს ფედერატიულათ მოუწყვიათ თავიანთი შინაური პოლიტიკური ცხოვრება და სოციალისტ-ფედერალისტებს განუზრახავთ მსგავსი პოლიტიკური წესწყობილების შემოღება რუსეთის იმპერიაში მისდა განურჩევლად, თუ რამდენათ მოსახერხებელია მისი აქ განხორციელება ან შეფერება თუ არა იგი რუსეთში და კავკასიაში მცხოვრებ სხვა და სხვა ეროვნებათა და ხალხთა ცხოვრებას.

ა. თორაძე.

---

[1]) ზემო-იმერეთში ცოლი, ქმარს—„კაცს“ ეძახის და ქმარი, ცოლს—„ქალს“.

დობას გახთა, განაცვალე, ათი წლის და ახლა მეთერთმეტეშია.—მიუგო ივლიტემ.

— დიდი გოგოა, განაცვალე, ორი სამი წლის შემდეგ ქაც უნდა გავათხოვო, თავის პატრონს ჩავაბარო; მაგრამ ჭკუა რომ არ აქვს თავში და მთლად უზდელი რომაა, ასის რა მოუხერხო შენი ჭირიმე? რამე საიდუმლო რომ დაბარო ჩემთან, შორიდან დაიწყებს ყვირილს და იქიდან გიამბობს. გუშინ, მეწვრიმალე ურიის დოუძახე—თქვა ურიაჩი, ქერძაღის ყიდვა მინდოდა უმარულისთვის.—აჰ, ხმა დაუმდაბლა ივლიტემ.—და ის ადგა, ბერა, და ერთ ვერსიდან დაიწყო ყვირილი: „ურია, აქეთ მოდი დედას უმარულის ყიდვა უნდა“ ო. დღესაც სწორედ ასეთი სიქციელის გულისთვის დავტოვე სახლში: დილაზე თქვენთან რომ გამოვგზავნე.—მიმართა მართას.—გადასახურავ ფულის სისესხებლად, როგორც მოუახლოვდა სახლს და დამინახა მე თუ არა, ერთი ისეთი დაიყვირა: „დედა ქე გამომატანა, თითონ არ ქონდა და ედუკიადენ ისესხა“—ო რომ, თქვენ ხომ შორს ხართ ჩვენიდან, ქალბატონო ედუკია და თქვენსაც კი გაიგონებდენ,—სთქვა ივლიტემ.

ამ სიტყვების გაგონებაზე მართას ფერი ეცვალა და რაღაცას სათქმელად მოემზადა. ედუკია ორივეს მიაჩერდა და გაკვირვებით იკითხა:

„ბერა, აწი, რომელ ედუკიადან?!“.

გიორგი ბუჩიძე.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 6 იანვ. საღამოს ოფიციალური ცნობა. მდ. სომის სამხრეთით ლასინის სექტორში ჩვენ არტილერიის ცეცხლით გავანადგურეთ მტრის ბლოკჰაუზი. სუასონსა და რეიმს შუა მდებარე მიდამოში სასანგრო ზარბაზნებით სერიოზულად დავაზიანეთ მტრის საველე სიმაგრეები კრაონის დასავლეთით ეფილის რაიონში. კურტემონიდან ჩრდილოეთით მდებარე რაიონში სროლა ავუტეხეთ გზაზე მდგომს მტრის ჯარს ლოტარინგიაში, ალანკურის მახლობლათ, ჩვენ მარჯვეთ დავუშინეთ იმ შენობებს, სადაც გერმანელები იყვნენ.

5 იანვარს ღამით მტრის ორმა ჰაეროპლანმა ქალ. ნანსში 4 ყუმბარა ჩამოაგდო. ერთერთმა ჩვენმა საჰაერო რაზმმა რომელიც რკინის გზის სადგურების მეტცანისა და არნავილისკენ გაემართა, 22 ყუმბარა ესროლა სადგურებს და დიდათ დააზიანა შენობები.

ჰავრი. 6 იანვ. ბელგიის ცნობა. კარგმა ამინდმა ხელი შეუწყო მთელს ფრონტზე საარტილერიო სროლის გაცხოველებას. ჩვენ მარჯვეთ ვუპასუხებდით მტერს.

რომი. 6 იანვარი. მთავარი ბანაკის ცნობა. მტრის არტილერიამ ჩიმაგოში ცეცხლი გამოიწვია. ჩვენმა ბატარეამ ამის სამაგიეროთ მტრის პოზიციებს ზარბაზნები დაუშინა. სუგანის ჭალაში მტრის არტილერიას ვუპასუხეთ. პობოგოში ყუმბარები დავუშინეთ რკინის გზის სადგურს კალდონაცცოს, სადაც მატარებლების მოძრაობა იყო შემჩნეული. კალმინოს სექტორში 5 იანვრის ღამეს მტრის ერთ ერთმა რაზმმა მოიწადინა ერთ ერთ ჩვენს საველე სიმაგრეზე იერიშის მიტანა სანტამარიის მაღლობზე, მაგრამ მსწრაფლ მოგერებულ იქნა, დაკარგა რა 30 კაცი ამავე ღამეს მაღლობ 188 და ოსლავიას შუა მდებარე მიდამოში მტრის რაზმები შეეცადნენ ჩვენი პოზიციების მოახლოებას მაგრამ ჩვენმა ფხიზელმა ჯარმა, რომელიც მტრის ყუმბარებმა შეცდომაში ვერ შეიყვანა, იოლათ მოიგერია იგინი. კარსოსთან არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ლონდონი. 6 იანვარი. პრეტორიიდან ოფიციალურათ იუწყებიან—პირველ სამხრეთ აფრიკის ქვეითა ბრიგადა ეგვიპტეში მოვიდაო.

ლონდონი. 6 იანვარი. ინგლისის მთავარ ბანაკის ცნობა საფრანგეთიდან. ალბერის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ლესარში ჩვენმა 16 ჰაეროპლანმა 4 იანვარს ყუმბარები ესროლა მტრის სურსათის საწყობს და დიდათ დააზიანა. ამავე დღეს მთელი რიგი საჰაერო შეტაკება მოუხდათ მტრის ჰაეროპლანებთან, რომელთაგანაც ორი დაღუპეს. ჩვენ დაგვეღუპა ერთი ჰაეროპლანი. 5 იანვარს მტერმა ააფეთქა 2 ნაღმი ფორკურის სამხრეთით, რამაც უმნიშვნელოთ დაგვაზარალა. დღეს რამდენიმე პუნქტზე მოხერხებულათ დავუშინეთ მტრის თხრილებს მდ. ლისის სამხრეთით და ხელში ჩავიგდეთ რამდენიმე ხაზი ჩვენი თხრილებისა. კენშის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის არტილერია ძლიერ მოქმედებდა, თუმცა ჩვენთვის ზარალი არ მოუყენებია. ფრომელის მახლობლათ ჩვენმა ცეცხლმა მტრის ჰაეროპლანი ჩამოაგდო.

სოლომონ ლეონიძე

ისტორიული ცნობებით გამოირკვა, რომ სოლომონ ლეონიძე გარდაიცვალა 1815 წ. ბატონიშვილის ალექსანდრეს კარზედ და არა სომეხთა ეფრემ კათოლიკოზის სახლში 1812 წ.

ამ საყურადღებო კაცის ცხოვრების შესახებ ჩვენ ბევრი არა ვიცით რა, თუმცა მისი ცხოვრება ერთს დიდს ტრაგედიას წარმოადგენს, არ ვიცით იმ გარემოების ამბები, თუ რუსეთის მთავრობამ მას რა მიზეზებით დასწამა თვისი ღალატი. რა მიზეზებით დაჰკარგა ს. ლეონიძემ თავის საყვარელი სამშობლო საქართველო, ის საქართველო, ვისთვისაც იგი დიდათ იტანჯებოდა. აქ ჩვენ მოვიყვანთ იმ ცნობებს რაც კი ამ კაცის შესახებ მხოლოდ 1860 წლების შემდეგ იქმნა გამორკვეული.

1879 წ. „მეფე გიორგის ცხოვრება“ რომ დაიბეჭდა „ივერიაში“ პირველად იქ ვსცანით შემდეგი: ისტორიკოსი პლ. იოსელიანის მამა იყო მეფე გიორგის კარის მღვდელი. ამ მღვდელს „უამბნია პ. იოსელიანისათვის, რომ „ს. ლეონიძე საქართველოს ერის და მეფეების სიყვარულის და არსებობისაგან ერთ იტანჯებოდაო“, იმავე მეისტორიეს მოჰყავს შემდეგი სტრიქონები:

„ვეწოდებ მას პატიოსნებისა გამო მაღლისა დროთა მათ „ფარისად“ ქართველთა და ვითარცა მტკიცე და შეურყეველი, იქმნა ნამდვილ ქართველ ერისა და ისტორიის კატონად“.

ამ სტრიქონებს გარდა ვიცოდით ორი ოდენ ცნობაც ჩვენის პოეტის ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ სადაც გამოყვანილია ს. ლეონიძე მეფე ერეკლესთან მოსაუბრეთ, საქართველოს რუსეთის იმპერიასთან დაკავშირების გამო. ვიცოდით კიდევ ცნობა მასზედ, რომ 1798 წ. მეფე ერეკლეს დამარხვის დღეს, მცხეთის საყდარში, სოლომონ ლეონიძემ სიტყვა წარმოსთქვა, რომელი სიტყვაც პირველად დაიბეჭდა პეტროგრადს 1863 წ. სხვა ამის მეტი არაფერი ცნობები გვქონდა.

სოლომონ ლეონიძის შესახებ 1900 წ. ჟურ. „მოგზაურში“ დაიბეჭდა რამდენიმე წერილი და აქედამ ერთი თავი ცალკე წიგნათაც დავბეჭდე 1910 ს. ქართულს გაზეთში ამ პირის შესახებ სხვა არა დაბეჭდილარა და რადგანაც წელს შესრულდა მისი გარდაცვალების 100 წელი მარტოდ აქ მოვიყვანთ ცნობებს მის გარდაცვალების დროს რუსეთის წინაშე ვითომც და ღალატის, რაც უარსაყოფია ცხადით.

ს. ლეონიძე იყო მაღალ გონების კაცი. იგი იყო მეფის ვიცე კანცლერი, მეფე ერეკლეს სურვილით 1780 წ. იგი რუსეთში იქმნა გაგზავნილი, რუსეთის კარისადმი ელჩათ. მერე იგი მუშაობდა იმ ტრაქტატის შედგენაზედ, რომელიც მეფე ერეკლემ დაუდო ეკატერინა იმპერატრიცას ამისთვის ს. ლეონიძეს 45 ათას მანეთსაც დაჰპირდნენ, თუმცა ეს ფული ტრაქტატის შედგენის შემდეგ მან ვერ მიიღო. თვით სწერს ამაზედ ასე.

სოლომონ ლეონიძეს დიდად უყვარდა საქართველოს ერი და ჰსურდა ქართველთ მეფობის არსებობა, ამისთვის იგი დიდად ილვწოდა მეფე გიორგის კარზედ, მაგრამ მტერთა მეოხებით ვერას აწყობდა. რაკი დაინახა საქმის ალსასრული, მაშინ მეფეს მოახსენა, თუ თქვენ ქვეყანას გასცემთ, ეს იქნება დიდი ცოდვა და რისხვა სულისა მღვთისა წინაშეო. თუ არ დაიშლით ამას, მაშინ პირობათ თქვენ იქონიეთ თქვენი მამის მეფე ერეკლეს პირობის მუხლები და იმით შეეკარით და არა ახალის პირობითაო.

მეფე თურმე ამის თანახმა იყო, ამ გარემოებას ხომ ივანე ხელაშვილიც ასაბუთებს წიგნის „კალმასობის“ ცნობით. ესეთი პირობა კი მეფე გიორგის დესპანებს პირში ჩალას ავლებდა, ამიტომაც გარსევან ჭავჭავაძემ რუსეთის მთავრობის წინაშე მტრობით დაასმინეს, რომ შეერთების საქმეს ს. ლეონიძე ჰლასო. ეს გარემოება დააჭეშმარიტეს გ. ავალოვმა და გლ. ფალავანდიშვილმა და 12 ფიცის კაცმა.

ეს დაბეზღება ს. ლეონიძემ მალე შეიტყო. მაშინ ერთობაზედ ლაპარაკს დაანება და მეფეს გაახსენა ტრაქტატის მუხლები: აუწყა, ახალ პირობაში შედგენის თავი დაანებეთ, რუსები მაინც თქვენს პირობას მიიღებენო. რაკი სოლ. ლეონიძემ მეფის გარდაცვალების ფიქრი იქონია და საქმე შესრულების რიგი, ამიტომ მეფეს ავალებდა მხოლოდ ტრაქტატის განახლებას და მით შეერთებას. ამის თანახმა იყო პატრი ნიკოლა, გ. მაყაშვილი, მ. ანდრონიკაშვილი და ზოგნიც სხვანი.

ერთ დღეს მეფე გიორგის სახლში სხდომა იყო და აქ სოლომონ ლეონიძე ჰქუხდა სიტყვით და საქმით, მას გვერდს შეუდგა პატრი ნიკოლა და ამათი ცდა იქამდის მივიდა, რომ ბოლოს პატრი ნიკოლამ საჯაროთ სთქვა:—„ასე იქნეს, ბატონებო, საქმე თუ არა და მაშინ თქვენ გაანებეთ ყოველივეს თავი და მიბრძანდით იქით, საითაც გსურთ, ფრანგები თქვენზედ ძლიერნი არიან, მაგრამ ხშირად უმეფოთაც კარგად სცხოვრობენ, რესპუბლიკით, აქაც ჰქმნიან ასე.

ს. ლეონიძემ ამის შესახებ არა სთქვა რა. დავით ბატონიშვილი შეკრთა, ჯავრი მოუვიდა, ვაი თუ მართლა ასე ჰქნან და მე ტახტი წამერთვესო. ამის გამო ს. ლეონიძემ დაუწყო ვედრება, მაგრამ ვერა გახდა. სამაგიეროდ დავითის მომდურება კი შეიძლენა, ასე რომ როცა სამეფო ოჯახის წევრთა ერთობა აირია, დავითმა რუსეთის მთავრობას აუწყო, ამ არევის მიზეზი ს. ლეონიძე არისო აქით დასაბუთდა გარსევანის მტრობაც.

ს. ლეონიძეს დაჰპირდა ელოდა, საყვედურიც კი აუწყეს. მაგრამ მთავრობის საყვედური მან არ მიიღო. მე რუსეთის წინააღმდეგი არ ვყოფილვარ და არც ვარო. მე ვითხოვდი, რომ შეერთება 1783 წ. ტრაქტატის ძალით მომხდარიყოს და არა ახალის პირობითაო. მაინც ს. ლეონიძემ თავი ვერ გაიმართლა, შიში ჰქონდა, ამიტომ იგი იმერეთში გაიქცა და თავი სოლომონ მეფეს შეაფარა.

იმერეთის სამეფოს სასარგებლოდ დაიწყო მოქმედება და მეფეს აუწყებდა, რომ თუ შეერთება იქნება, მაშინ მიღებული უნდა იყოს ის ტრაქტატი, რაც ერეკლე მეფემ და სოლომონ დიდმა დაუდვეს რუსეთსა. სოლომონ მეფეც თანახმა იყო ამის რჩევის. მაინც საქმე გაჭირდა. 1810 წ. იმერეთი რუსეთმა დაიკავშირა, მეფე ტრაპიზონს გაიქცა, ს. ლეონიძეც თან გაჰყვა და მეფესთან სცხოვრობდა.

1815 წ. გარდაიცვალა სოლომონ მეფე დასაფლავების შემდეგ სოლ. ლეონიძეც ტრაპიზონიდამ სპარსეთს გაემგზავრა ალექსანდრე ბატონიშვილთან. მგზავრობის დროს ბევრი გაჭირვება გამოიარა. გზათ ვლის დროს, ცოტა ხანს სომეხთა შორისაც იცხოვრა. 1816 წ. იანვარში ალექსანდრე ბატონიშვილთან მიაღწია და იმავ თვეს გარდაიცვალა. (საქ.)

პროვინციის ცხოვრება.

ხონი. 27 დეკემბერს ხონში მოხდა წყლის ოლქის მოსამსახურეთა არჩევანი. ხალხი, როგორც მოსალოდნელი იყო, ცოტა დაესწრო და ისიც იმიტომ, რომ დაინტერესებული იყო თავისი კანდიდატი გაეყვანა.

დამსწრე ხალხს არ ემჩნეოდა არავითარი ინტერესი, რომ სასარგებლო პირები აერჩია. გაიძახოდენ: მირაბი ამოვირჩიოთ და სხვა არავინაო.

რადგან მირაბის კანდიდატათ სხვა არავინ იყო, ისევ იაკობ ქუთათელაძე გაიყვანეს. რაც შეეხება რჩევის წევრების არჩევას, რადგან ბრალდებები იყო წამოყენებული ძველი რჩევის წევრების წინააღმდეგ, რომლის გამოსაძიებლათაც სარევიზიო კომისია დანიშნეს, ხალხმა ახლების არჩევა მოითხოვა.

რაიონს ოთხი უმთავრესი არხი აქვს, რომელზედაც უნდა დანიშნულიყო თითო არხზე თითო, ასეც გამოაცხადა თავჯდომარემ—ივანე გორდაძემ, მაგრამ მან, არ ვიცი რა მოსაზრებით, არ აცალა ხალხს მოეფიქრება და თვითონვე დაასახელა კანდიდატები, რომელთა რიცხვშიც არც თავის თავი დაავიწყდა და წინასწარ ჯგუფმა დაადასტურა ი. გორდაძის მოსაზრება. ამ რიგათ არჩეული იქნენ ორი ახალი და ორი ძველი რჩევის წევრი. არა ერთხელ შევეკითხეთ თავჯდომარეს, თუ რატომ კენჭით არ მოხდა, რომელსაც ხალხიც და კანონიც ავალებდა, ან რა მიზეზია, რომ ერთ არხზე ორი რჩევის წევრი დაინიშნა და უმთავრესი არხი და ნაწილი, როგორც დიდი ჯიხაიშისა, უწევროთ დარჩა, მაგრამ შეკითხვას ყურადღება არ მიაქცია.

დიდი კამათი გამოიწვია ჯამაგირების საკითხმა, მირაბს დაუნიშნეს 700 მ. წელიწადში, ხოლო რჩევის წევრებს ათი თუმანი თითოს.

იქიდანვე. ხონში ჩამოსულა ვიღაც სომხის დედაკაცი, რომელიც [illegible] თავს მისანს უწოდებს. მკითხაობს [illegible]. სამკითხაოდ მხოლოდ ქალებს ღებულობს; დილიდან საღამომდის [illegible] აწყდება. ასეთივე [illegible] ხობს. საკვირველია ღმერთმანი, ისეთ კულტურულ დაბაში, როგორიც არის ხონი, როგორ მოიდგეს ფეხი მატყუარა მკითხავებმა.

ი. ხეთერელი.

რედაქტორ-გამომც. **ი. ცინცაძე.**

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

გაზეთ „**შრომის**“ თანამშრომელთა თაოსნობით იანვრის გასულს ქ. ქუთაისში გამოვა ლიტერატურულ-მხატვრული კრებული.

„სხივი“

კრებულში მოთავსებული იქნება ორიგინალურ-მხატვრული და კრიტიკული წერილები.

მონაწილეობენ: **მიხ. ბოჭორიშვილი, ია ეკალაძე, ნიკ. მიწიშვილი, გ. მუმლაძე, ილია ნაკაშიძე, გიგო ნათაძე, ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე, ლეო ა. შენგელაია** და სხვ.

აგრეთვე მოთავსებული იქნება **გიგა ჯულილის** დაუბეჭდავი წერილები.

ფასი კრებულისა სამი აბაზი.

მსურველთ შეუძლიათ კრებული წინდაწინ დაიკვეთონ.

მისამართი: ქუთაისი, ობორინის ქუჩა, ნაფიცი ვექილი ივანე პავლეს ძე გობეჩია.

წიგნი დაიბეჭდება ქ. შ. წ. კ. გამავრ. ქუთ. განყოფ. სტამბაში. 8-6

5 იანვარს დაიკარგა ძაღლი ინგლისური სეტერის ჯიშისა. ნიშნები: ბ.ნალი გძელი და რუხი შავი წინწკლებით. მპოვნელს სთხოვენ მიიყვანოს ოლქის სასამართლოს თავჯდომარის ამხანაგის ბინაზე დადიანის ქუჩაზე, ჩაჩანიძის სახ. (წულუკიძის ყოფილ სახლში). მიმყვანს ჯილდო მიეცემა. 2—1

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია, როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

სიფილისი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე ვიზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებული საშუალებების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ. სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარ შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

პრეპარატი ექ. დე-ვიზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

პრეპარატი ექ. დე-ვიზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს

პრეპარატი ექ. დე-ვიზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გუმსა და შხამს, რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების მხედველობის და სმენის სისუსტეს.

პრეპარატი ექ. დე-ვიზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხერხემლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. სიფალშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვიზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში. ფასი ერთი კოლოფისა 5 მან. წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ. (წლიური)

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.